ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

30 ოქტომბერი 2026

N 659

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2026 წლის 24 ივლისის N455 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის N223 ბრძანებით დამტკიცებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „უფლებამოსილებების მინიჭების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2021 წლის 12 აგვისტოს N334 ბრძანებით დამტკიცებული დანართი N1-ის და ა(ა)იპ - „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ (შემდგომში - ბაფი) 2026 წლის 22 სექტემბრის N283 წერილის (სამსახურში რეგისტრაციის N167977/16; 23.09.2026, (სამსახურში რეგისტრაციის N167977/16; 23.09.2026 წ., ბაფის კომიტეტის სხდომის ოქმი N12 (22.09.2026) საფუძველზე, ლექტორების ნაწილში შეტანილ იქნა ცვლილებები) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2026 წლის 24 ივლისის N455 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2. მოთხოვნა დაკმაყოფილდეს და აღიარდეს 2026 წლის 22 სექტემბრის N283 კორესპონდენციით (სამსახურში რეგისტრაციის N167977/16; 23.09.2026 წ.) წარმოდგენილი აუდიტორების განგრძობითი განათლების 2026 წლის პროგრამა;“

2. გადაწყვეტილება გაეგზავნოს ბაფ-ს ბრძანების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) დღის ვადაში;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64), ბრძანების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

თორნიკე ძაგნიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტი

https://edoc.mof.ge/public/#/659-16-4-202610301710